


ნახაზი 5. რუსთავის ხიდკაშხლის სასიმაღლო ქსელის არსებული ქსელის სქემა და ალტერნატიული ადგილი სარდენი რეპერების ჯგუფის დასამაგრებლათ

## საკვამლე მილის გეგმურ ქსელი და განაზომების მათემატიკური დამუშავება.

ზოგადათ საკვამლე მილის მიმდებარე ტერიტორია ზედმეტად დატვირთულია ტექნოლოგიური დანადგარებით, შენობებით და ბეტონის ღობეებით, რამაც საბოლოოდ გავლენა იქონია საკვამლე მილის გეგმური საფუძვლის განლაგებაზე. ამის გამო საკვამლე მილის გეგმურმა საფუძველმა ოპტიმალური ფორმა ვერ მიიღო, თუმცა აკმაყოფილებს სიზუსტის მხრივ ინსტრუქციის მოთხოვნებს [1]. საბოლოო ჯამში ეს საფუძველი შედგება 4 პუნქტიდან და მათი განლაგება ნაჩვენებია მე-2 ნახაზზე, ხოლო ცალკე ქსელის სქემა კი მე-3 ნახაზზე.

ამ ნახაზებზე ჩანს, რომ ST6, ST8 და ST9 პუნქტები ქმნის სამკუთხედს, რადგან მათ შორის არის მხედველობა, ხოლო პუნქტ ST7-ზე მხედველობა არის მხოლოდ ST6 პუნქტიდან, ST8-დან კი არ არის. ამის გამო მეორე სამკუთხედი (ST6, ST7, ST8) ვერ შეიქმნა. ჩვენი აზრით კი ამ რაიონში უნდა მოიძებნოს ადგილი დამატებით პუნქტისათვის, რომლიდანაც მხედველობა იქნება ST6, ST7 და ST8 პუნქტებზე. დამატებითი ST10 პუნქტის პირობითი განლაგეგა მოცემულია ნახ.3-ზე (მწვანე ფერით) და მისი ჩასმის რეკომენდაცია არის 2011 წლის ანგარიშში [3].




ნახ. 3 საკვამლე მილის გეგმური ქსელის სქემა